საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/10538
07/11/2023

10538-09-2-202311071754

ა(ა)იპ მომხმარებელთა უფლებების ცენტრი"-ს (ს/კ 404523529)

აღმასრულებელ დირექტორს

ირაკლი მხეიძეს

ელ.მისამართი: iraklimr@hotmail.com

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2023 წლის 24 ოქტომბრის სსიპ. სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსული N35493 წერილის, საფუძველზე იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ 27 ოქტომბერს განხორციელდა არაგეგმური სახელმწიფო კონტროლი შპს. „ბაღდათის აგრარულ ბაზარში" (ს/კ 425053103, ფაქტიური მისამართი: ბაღდათში არსებულ ე/წ „ყველის ბაზარი" კოსტავას ქ. N3) აღნიშნულ ობიექტში ყველის რეალიზაცია არ ხდება. ქალაქ ბაღდადში რძის პროდუქტის რეალიზაციას ახორციელებს ი/მ „რამაზ დენოსაშვილი" (ს/კ 09001000977; ფაქტობრივი მისამართი: ბაღდათი, ნინოშვილის ქ. №8), რომლის სახელმწიფო კონტროლის შედეგად დადგინდა რომ, ბიზნესოპერატორი ფუნქციონირებდა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, იგი დაჯარიმდა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მუხლი 65 ნაწილი I-ის შესაბამისად და შეუჩერდა საქმიანობა რეგისტრაციამდე. ობიექტში კრიტიკული შეუსაბამობა არ დაფიქსირებულა, ხოლო არაკრიტიკული შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად განესაზღვრა გონივრული ვადა. ბიზნესოპერატორს მიეცა მითითება ყველი შეისყიდოს მხოლოდ რეგისტრირებული ოჯახური წარმოების სუბიექტიდან.

ზემოთ აღნიშნულ სარეალიზაციო ობიექტში ყველის რეალიზატორი ვენერა მინაძე (პ/ნ 0[illegible]525) არ ფიქსირდება, ბიზნესოპერატორის ჩანაწერების მიხედვით აღნიშნულ პირს მის კუთვნილ ობიექტში არ მოუხდენია ყველის რეალიზაცია.

2023 წლის 2 ნოემბერს იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ შპს „ზეინდრის კერძო ბაზარი"-ს კუთვნილ ობიექტში (ს/კ 229731234, ფაქტობრივი მისამართი: ვანი, სოფელი ზეინდარი) განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი. ობიექტში კრიტიკული შეუსაბამობები არ დაფიქსირებულა, ხოლო გამოვლენილი არაკრიტიკული შეუსაბამობების გამოსასწორებლად განესაზღვრა გონივრული ვადა.

მოკვლევით დადგინდა, რომ ნინო ჭჭედლიძე პ/ნ 010[illegible] შპს „ზეინდარის კერძო ბაზარი" (ს/კ 229731234, ფაქტობრივი მისამართი: ვანი, სოფელი ზეინდარი) ყველის რეალიზატორი არასდროს არ დაფიქსირებულა. შპს „ზეინდარის კერძო ბაზარი" დაარსების დღიდან მუშაობს კვირაში ერთი დღე - მხოლოდ ხუთშაბათს. კვირის დანარჩენ დღეებში ბაზარი დაკეტილია. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ცენტრის მიერ წარმოდგენილ შესყიდვის აქტის მიხედვით ყველის შესყიდვის თარიღია 2023 წლის 4 ოქტომბერი-ოთხშაბათი დღე. ასევე თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ ლაბორატორიული კვლევის ოქმში ნიმუშის ლაბორატორიაში მიღების თარიღი არის 2023 წლის 4 ოქტომბერი (ოთხშაბათი). წარმოდგენილი შესყიდვის აქტის მიხედვით შესყიდულია 2,3 კგ. ყველის ნიმუში, ხოლო ლაბორატორიაში კვლევისათვის შეტანილია 1,2 კგ. ყველი.

იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ წერილში და დოკუმენტაციაში აღინიშნება უზუსტობები, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ ვერ განხორციელდა სურსათის მწარმოებელთა მიკვლევადობა.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი